

განბაჟებისა და დაბეგვრის რეჟიმის გავრცელება; მატერიალური ზიანის ანაზღაურება

საქართველოს უზენაესი სასამართლო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა საქართველოს სახელით

№3გ/ად-169-კ-01

4 მარტი, 2002 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა
შემადგენლობა:**

ლადო ჭანტურია (თავმჯდომარე),
ვალერი ხრუსტალი,
ბადრი მეტრეველი,
მერაბ ტურავა,
მაია ვაჩაძე (მომხსენებელი),
ნანა კლარჯეიშვილი,
ნუგზარ სხირტლაძე,
როზა ნადირიანი,
მიხეილ გოგიშვილი

სხდომის მდივანი – თამარ შუშიაშვილი

კასატორი (მოსარჩელე) – შპს „ა.“, დირექტორი ა. მ.-ი წარმომადგენლები: გ. ს.-ე, დ. შ.-ი, მ. ე.-ი

მოწინააღმდეგე მხარე (მოპასუხე) – საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი, წარმომადგენელი დ. გ.-ი.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება.

დავის საგანი: 1) საბაჟო დეპარტამენტის მიერ შპს „ა.-ის“ მიმართ შეღავათიანი განბაჟების რეჟიმის გავრცელება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყაზახეთის რესპუბლიკიდან იმპორტირებულ 3000 ტონა სასურსათო ხორბალზე;

2) საბაჟო დეპარტამენტის მიერ შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმის გავრცელება შპს „ა.-ის“ მიერ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებში (თურქეთსა და ბულგარეთში) წარმოშობილ საქონელზე განხორციელებულ ოპერაციებზე, რომელსაც ითვალისწინებს „გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ“;

3) საბაჟო დეპარტამენტის მიერ შპს „ა.-სათვის“ თურქეთიდან და ბულგარეთიდან შემოტანილ ხორბალზე ზედმეტად გადახდილი 507 437,22 ლარისა და ყაზახეთიდან შემოტანილ ხორბალზე განბაჟების პროცედურების გაჭიანურებით მიყენებული მატერიალური ზიანის – 39 847,34 აშშ დოლარის ანაზღაურება.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

2001 წლის 29 მარტს თბილისის საოლქო სასამართლოში საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიმართ სარჩელი აღძრა შპს „ა.-მა“.

სასარჩელო განცხადებით მოსარჩელემ მოითხოვა:

1. საბაჟო დეპარტამენტის მიერ შპს „ა.-ის“ მიმართ შეღავათიანი განბაჟების რეჟიმის გავრცელება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყაზახეთის რესპუბლიკიდან იმპორტირებულ 3000 ტონა სასურსათო ხორბალზე.

2. საბაჟო დეპარტამენტის მიერ შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმის გავრცელება შპს „ა.-ის“ მიერ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებში წარმოშობილ საქონელზე განხორციელებულ ოპერაციებზე, რომელსაც ითვალისწინებს „გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ“.

3. საბაჟო დეპარტამენტის მიერ შპს „ა.-თვის“ თურქეთიდან და ბულგარეთიდან შემოტანილ ხორბალზე ზედმეტად გადახდილი 343 333 ლარის, ყაზახეთიდან შემოტანილ ხორბალზე არასწორად დარიცხული 56880 აშშ დოლარის საბაჟო გადასახადების გადახდისაგან გათავისუფლება და განბაჟების პროცედურების გაჭიანურებით მიყენებული მატერიალური ზიანის – 55 273 აშშ დოლარის ანაზღაურება.

ყაზახეთის რესპუბლიკიდან იმპორტირებულ 3000 ტონა სასურსათო ხორბალზე შეღავათიანი განბაჟების რეჟიმის გავრცელების საფუძვლად მოსარჩელე მიიჩნევს „საქართველოს მთავრობასა და ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ 1997 წლის 11 ნოემბრის საერთაშორისო შეთანხმებას, რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 28 მაისის დადგენილებით.

მოსარჩელის განმარტებით, ვინაიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტირებული 3000 ტონა სასურსათო ხორბლის წარმოშობის ქვეყანაა ყაზახეთის რესპუბლიკა და ამ პროდუქციის იმპორტი — თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელდა, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების პირველი და მეორე მუხლების შესაბამისად, მასზე შეღავათიანი განბაჟების რეჟიმი უნდა გავრცელდეს. მითუმეტეს, რომ ანალოგიური პირობებით შემოტანილ სასურსათო ხორბალზე საბაჟო დეპარტამენტი დღემდე საერთაშორისო შეთანხმებით გათვალისწინებულ შეღავათებს ავრცელებდა. კერძოდ, ყაზახეთიდან საქართველოში კომპანია „გ. ი.-ის“ მეშვეობით შპს „ს. მ. ს.-ს“ მიერ 2000 წლის გაზაფხულზე შემოტანილ იქნა ხორბალი, რომელზეც გავრცელდა შეთანხმებით გათვალისწინებული შეღავათი. ანალოგიურად გადაწყდა საკითხი შპს „ა.-ის“ მიერ გეო – ..., გეო – ... ოპერაციების განხორციელებისას.

თურქეთიდან და ბულგარეთიდან იმპორტირებულ სასურსათო ხორბალზე შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმის გავრცელების საფუძვლად მოსარჩელე მიიჩნევს „გენერალურ შეთანხმებას ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ“, რომელიც მიღებულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა მიერ და რომელსაც საქართველო შეუერთდა ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებისთანავე. მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული შეთანხმების პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საბაჟო დეპარტამენტი ვალდებული იყო გაეგრძელებინა შეღავათიანი განბაჟების რეჟიმი შპს „ა.-ის“ მიერ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებიდან - თურქეთიდან და ბულგარეთიდან საქართველოში

შემოტანილ სასურსათო ხორბალზე, ვინაიდან ამ ნორმის თანახმად „ნებისმიერი უპირატესობა, ხელშეწყობა, პრივილეგია ან იმუნიტეტი, რომელიც შეთანხმების მონაწილე რომელიმე მხარემ მიანიჭა რომელიმე სხვა ქვეყანაში შექმნილ ან რომელიმე სხვა ქვეყნისათვის განკუთვნილ ნებისმიერ საქონელს, დაუყოვნებლივ და უპირობოდ უნდა მიენიჭოს ყველა დანარჩენი წევრი ქვეყნის ტერიტორიებზე წარმოშობილ ან შეთანხმების მონაწილე ყველა დანარჩენი მხარის ტერიტორიებისათვის განკუთვნილ მსგავს საქონელს“

მოსარჩელის მიერ სარჩელის წარდგენის შემდეგ, მოპასუხემ ყაზახეთიდან შემოტანილ 3000 ტონა ხორბალზე გაავრცელა საერთაშორისო შეთანხმებით გათვალისწინებული დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმი, რის გამოც მოსარჩელემ უარი თქვა 56 880 აშშ დოლარის საბაჟო გადასახადების გადახდისაგან გათავისუფლების მოთხოვნაზე და მხოლოდ ამ პროდუქციის დაგვიანებით განბაჟებისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის – 40 592,84 აშშ დოლარის ანაზღაურება მოითხოვა. მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული თანხა შედგებოდა: საბანკო კრედიტის აღებაზე ზედმეტად გადახდილი პროცენტებისაგან – 856,70 აშშ დოლარი; შემოსული ფულადი მასის ნაკლებობით კრედიტზე ზედმეტად გადახდილი პროცენტებისაგან – 2 140 აშშ დოლარი; ხორბლის შექენაზე მიმართული თანხების გამო კრედიტზე ზედმეტად გადახდილი პროცენტებისაგან – 9 756,04 აშშ დოლარი; ამონაგების შემცირებისას ზედმეტად გადახდილი პროცენტებისაგან – 640,10 აშშ დოლარი; წარმოებაში უფრო ძვირად ღირებული ხორბლის გამოყენებით მიყენებული ზიანისაგან – 27 200 აშშ დოლარი. მოსარჩელემ ასევე დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა თურქეთიდან და ბულგარეთიდან შემოტანილ სასურსათო ხორბალზე და დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმის გაუვრცელებლობის გამო, ზედმეტად გადახდილი 507 437,22 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება მოითხოვა. აღნიშნული თანხა შედგებოდა: თურქეთიდან № 4594 კონტრაქტის საფუძველზე შემოტანილ ხორბალზე დარიცხული საბაჟო გადასახადისაგან – 204 4000,63 ლარი; იმავე კონტრაქტით, მხოლოდ სხვა პერიოდში შემოტანილ ხორბალზე დარიცხული საბაჟო გადასახადისაგან – 96 138,50 ლარი; ბულგარეთიდან № 8644 კონტრაქტის საფუძველზე შემოტანილ ხორბალზე დარიცხული საბაჟო გადასახადისაგან – 88 873,83 ლარი; ბულგარეთიდან № 9621 კონტრაქტით შემოტანილ ხორბალზე დარიცხული საბაჟო გადასახადისაგან – 46 421,82 ლარი. მოსარჩელის განმარტებით, სულ 2000 წლის პერიოდში ზედმეტად გადახდილმა თანხამ შეადგინა 231 434,05 ლარი. 2001 წლის პერიოდში კი ეს მონაცემები შემდეგია: თურქეთიდან №46942 კონტრაქტით მოწოდებულ ხორბალზე – 92 826,41 ლარი; ბულგარეთიდან № 9621 კონტრაქტის საფუძველზე – 43 891,06 ლარი; თურქეთიდან №3412517 კონტრაქტის საფუძველზე – 71 768,71 ლარი; თურქეთიდან №3414503 კონტრაქტის საფუძველზე – 67 516,99 ლარი, სულ 2001 წელს – 276003,17 ლარი.

მიუხედავად იმისა, რომ სარჩელის წარდგენის შემდეგ მოპასუხემ მოსარჩელის მიერ ყაზახეთიდან შემოტანილ 3000 ტონა ხორბალზე გაავრცელა საერთაშორისო შეთანხმებით გათვალისწინებული დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმი, საოლქო სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვისას მან განმარტა, რომ აღნიშნული ხორბლის ყიდვა-გაყიდვის შესახებ №463790 კონტრაქტის მონაწილენი: შპს „ა.“ და შვეიცარიული საშუამავლო კომპანია – სს „გ. ი. ა.გ.“ სამეურნეო საქმიანობას, როგორც ყაზახეთისა და საქართველოს სახელმწიფოთა სუბიექტები არ აწარმოებდნენ და ყაზახეთის საბაჟო ტერიტორიის გადაკვეთისას ტვირთი არ ყოფილა განკუთვნილი საქართველოსათვის. მოპასუხის მოსაზრებით, მოსარჩელის მოთხოვნა არ შეესაბამება ზემოაღნიშნული საერთაშორისო

შეთანხმების პირველი და მეორე მუხლების მოთხოვნებს, რომლის თანახმადაც „შეთანხმების ხელმოწერი მხარეები განავითარებენ და გააფართოებენ სამეურნეო საქმიანობის სუბიექტებს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს მათი საკუთრების ფორმების დამოუკიდებლად, პირდაპირი სამეურნეო კავშირების საფუძველზე“ . . . (პირველი მუხლი). ამავე შეთანხმების მეორე მუხლით „მხარეები არ იყენებენ ეკვივალენტური მოქმედების მქონე საბაჟო გადასახადებს, ბეგარასა და მოსაკრებლებს, საბაჟო გაფორმებასთან დაკავშირებული მოსაკრებლების გამოკლებით, ასევე, რაოდენობრივ შეზღუდვებს საქონლის ექსპორტსა და ან იმპორტზე, რომელიც წარმოშობილია ერთ-ერთი მხარის საბაჟო ტერიტორიიდან და განკუთვნილია მეორე მხარის საბაჟო ტერიტორიისათვის“. ამასთან, მოპასუხის განმარტებით, საბაჟო დეპარტამენტს დღემდე არა აქვს შემუშავებული ამ საერთაშორისო შეთანხმების გამოყენების ერთიანი პრაქტიკა, რაც გამოწვეულია საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელთა მიერ შეთანხმების არაერთგვაროვანი გაგებით.

მოპასუხის განმარტებით, უსაფუძვლოა მოსარჩელის მოთხოვნა ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების საფუძველზე თურქეთიდან და ბულგარეთიდან შემოტანილ ხორბალზე დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმის გავრცელების თაობაზე, ვინაიდან აღნიშნული დოკუმენტი საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული არ ყოფილა. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-4 მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად კი მხოლოდ საქართველოს მიერ დადებულ და რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილ შეღავათებს აქვთ იურიდიული ძალა საქართველოს საბაჟო ტერიტორიისათვის. მოპასუხის მოსაზრებით, საბაჟო დეპარტამენტის საქმიანობაში ზოგჯერ აღვილი აქვს განსხვავებულ პრაქტიკასაც, რაც განპირობებულია საერთაშორისო შეთანხმებების არასწორი ინტერპრეტაციით.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით მოსარჩელეს მთლიანად ეთქვა უარი სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. საოლქო სასამართლომ სრულად გაიზიარა მოპასუხის მოსაზრებები და დადგინდად მიიჩნია, რომ 2001 წლის 9 თებერვალს შვეიცარიის ფირმა „გ. ი. ა.გ.“-სა და საქართველოს ფირმა შპს „ა.-ს“ შორის დაიდო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება №463790. გამყიდველი შვეიცარიული ფირმა ვალდებულებას კისრულობდა გადაეცა მყიდველისათვის, ანუ შპს „ა.-სათვის“ ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული ყაზახეთის დასაფქვავე ხორბალი. ხორბლის რაოდენობა განისაზღვრა 3.000 ტონით. გადაზიდვა უნდა განხორციელებულიყო 15.02.2001 წლიდან 28.02.2001 წლამდე (ორივე თარიღის ჩათვლით). საქონელი უნდა ყოფილიყო შეფუთული. საქონლის ფასი შეადგენდა ერთ მეტრიკულ ტონაზე 158 აშშ დოლარს. ანგარიშსწორება მხარეთა შორის უნდა განხორციელებულიყო ნაღდი ანგარიშსწორებით მთლიანი თანასწორი გადახდით.

საქმეში მოიპოვება ფირმა „გ. ი. ა.გ.“-ის მიერ გაცემული სერთიფიკატი, რომელიც დათარიღებულია 26.02.2001 წლით. მითითებული დოკუმენტით სერთიფიკატის გამცემი ადასტურებს, რომ შპს „ა.-სათვის“ მიწოდებული 3.000 ტონა დასაფქვავე ხორბალი წარმოებულია ყაზახეთში. საქონლის მიწოდება ყაზახეთიდან განხორციელდა მატარებლით რუსეთ-უკრაინის ტრანზიტის საშუალებით და საქონელი ჩაიტვირთა ილიჩევსკში გემზე „მ. ბ.“ 21.02.2001წ. დათარიღებული სატრანსპორტო ზედნადებით (ს.ფ. 67).

საქმეში მოიპოვება უკრაინის მცენარეთა კარანტინის დეპარტამენტის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ ექსპორტიორმა, იურიდიულმა ფირმა „გ. ი. ა.გ.“-მ მიაწოდა მიმღებს საქართველოს ფირმა შპს „ა.-ს“ დანიშნულების პუნქტში ფოთში, გემით

„მ. ბ.“, სატრანსპორტო ზედნადებით, რომელიც დათარიღებულია 21.02.2001 წლით, 3000 ტონა ხორბალი. მიწოდებული პროდუქცია, ყაზახეთის დასაფქვაკავი ხორბალი შეუფუთავია. ტვირთის გადაცემის ადგილად მითითებულია ილიჩევსკის პორტი (ს.ფ. 69).

საქმის მასალებში მოიპოვება როტერდამის სავაჭრო პალატის მიერ გაცემული, 22.02.2001 წ. დათარიღებული, ევროგაერთიანების წარმოშობის სერთიფიკატი. სერთიფიკატით დასტურდება, რომ გამოგზავნილი „გ. გ. რ. ბ.ვ.“ „გ. ი. ა.გ.“-ს სახელით მიმღები პირია შპს „ა.“. გადაზიდვას აწარმოებდა გემი „მ. ბ.“ 21.02.2001 წ., დათარიღებული სატრანსპორტო ზედნადებით, ილიჩევსკის პორტიდან ფოთის პორტამდე. საქონლის დასახელებაა - ყაზახეთის დასაფქვაკავი ხორბალი, შეუფუთავი, წარმოშობის ქვეყნად მითითებულია ყაზახეთი, ხოლო მისაწოდებელი პროდუქციის რაოდენობად მითითებულია 3. 000 000 კგ. (ს.ფ.71).

საქმის მასალებში მოიპოვება საბაჟო სატვირთო დეკლარაციები №..., ..., ამ დოკუმენტებში გამოგზავნად (ექსპორტიორად) მითითებულია ფირმა „გ. ი. ა.გ.“ შვეიცარიის ფირმა, რომელიც უკრაინიდან აგზავნის პროდუქციას. გრაფაში მითითებულია დეკლარაციის სახე - ტვირთის გაშვება იმპორტის რეჟიმში. მიმღებად მითითებულია შპს „ა.“. ინვოისის №130236 22.02.2001 წ. გამოგზავნა ქვეყნად მითითებულია უკრაინა, იმპორტირებული პროდუქციის წარმოშობის ქვეყნად მითითებულია ყაზახეთი, დანიშნულების ქვეყნად – საქართველო. „ინტერკომის“ პირობად მითითებულია CI ფოთი. საქართველოს საბაჟოს საგასახადო კონტროლი იმპორტირებულმა პროდუქციამ გაიარა №0695 საბაჟო სატვირთო დეკლარაციით 02.03.2001წ. №0702 საბაჟო სატვირთო დეკლარაციით – 03.03.2001წ. №0743 საბაჟო სატვირთო დეკლარაციით – 08.03.2001წ. (დაწვრილებით იხ. ს.ფ. 81-85).

ამდენად, საოლქო სასამართლომ დადგინდა, რომ მოწოდებული პროდუქციის (საქონლის) წარმოშობის ქვეყანაა ყაზახეთის რესპუბლიკა. რაც შეეხება პროდუქციის განკუთვნილობის საკითხს, იგი თავდაპირველად არ იყო განკუთვნილი საქართველოსათვის.

თბილისის საოლქო სასამართლომ 2001 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით მიიჩნია, რომ ხორბლის ყიდვა-გაყიდვის შესახებ №463790 კონტრაქტის მონაწილენი: შპს „ა.“ და შვეიცარული კომპანია – სს „გ. ი. ა.გ.“ სამეურნეო საქმიანობას, როგორც ყაზახეთისა და საქართველოს სახელმწიფოთა სუბიექტები, არ აწარმოებდნენ და ყაზახეთის საბაჟო ტერიტორიის გადაკვეთისას ტვირთი არ ყოფილა განკუთვნილი საქართველოსათვის. ამდენად, საოლქო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელის მოთხოვნა არ შეესაბამება საქართველოს მთავრობასა და ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების პირველი და მეორე მუხლების დისპოზიციებში დათქმულ პირობებს, რომლის თანახმადაც „შეთანხმების ხელმომწერი მხარეები განავითარებენ და გააფართოებენ სამეურნეო საქმიანობის სუბიექტებს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ საქმიანობას... (პირველი მუხლი). ამავე დოკუმენტის მე-2 მუხლით, „მხარეები არ იყენებენ ეკვივალენტური მოქმედების მქონე საბაჟო გადასახადებს, ბეგარასა და ასაკრებლებს, საბაჟო გაფორმებასთან დაკავშირებული მოსაკრებლების გამოკლებით, ასევე, რაოდენობრივ შეზღუდვებს საქონლის ექსპორტსა და/ან იმპორტზე, რომელიც წარმოშობილია ერთ-ერთი მხარის საბაჟო ტერიტორიიდან და განკუთვნილია მეორე მხარის საბაჟო ტერიტორიისათვის“. . .

საოლქო სასამართლომ, ასევე, არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს უნდა გაეგრძელებინა საბაჟო დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმი შპს „ა.-ს“ მიერ თურქეთიდან და ბულგარეთიდან

იმპორტირებულ საქონელზე, რასაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებში წარმოშობილ საქონელზე „გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ“ ითვალისწინებს. საოლქო სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან აღნიშნული შეთანხმება არ ყოფილა რატიფიცირებული საქართველოს პარლამენტის მიერ და მას იურიდიული ძალა არ შეუძენია, ამდენად, აღნიშნული დოკუმენტი ვერ გამოიწვევდა სამართლებრივ შედეგებს.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება იმავე საფუძვლებით საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელე – შპს „ა.-მა“.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ: ა) საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის №265-II-ს დადგენილებით საქართველო შეუერთდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გაწევრიანების დოკუმენტების პაკეტს, მათ შორის 1994 წლის „გენერალურ შეთანხმებას ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ“; ბ) საქართველოს „საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ ვენის 1969 წლის კონვენციის 27-ე და 46-ე მუხლების შესაბამისად სახელმწიფოს უფლება არა აქვს შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ პროცედურებზე მითითების საბაბით უარი თქვას საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმების შესრულებაზე.

სასამართლომ არ შეაფასა წარდგენილი მტკიცებულებები: კერძოდ, ანალოგიური პირობებით ყაზახეთიდან საქართველოში, კომპანია „გ. ი.-ის“ მეშვეობით შპს „ს. მ. ს.“-ის მიერ 2000 წლის გაზაფხულზე შემოტანილ იქნა ხორბალი, რომელზედაც გავრცელდა საქართველოს მთავრობასა და ყაზახეთის მთავრობას შორის „თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეღავათი.

სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია გარემოებები, რომლის მტკიცებულებებიც სასამართლოსათვის წარდგენილი არ ყოფილა.

კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, სარჩელის დაკმაყოფილება და ყაზახეთიდან შემოტანილ ხორბალზე განბაჟების პროცედურების გაჭიანურებით მიყენებული მატერიალური ზიანის 40 592,84 აშშ დოლარის ნაცვლად 39 847,34 აშშ დოლარის ანაზღაურება მოითხოვა.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

დიდმა პალატამ მოისმინა მხარეთა განმარტებები, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის სამართლებრივი საფუძვლები და თვლის, რომ შპს „ა.-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

დიდი პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის საოლქო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ: 1999 წლის 6 ოქტომბერს საქართველომ ხელი მოაწერა მარაკეშის შეთანხმებით დაფუძნებულ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) საქართველოს გაწევრიანების ოქმს, რომელიც საქართველოს პარლამენტის №264-11 ს დადგენილებით რატიფიცირებულ იქნა 2000 წლის 20 აპრილს. საქართველოს პარლამენტის 20.04.00წ. №265-11 ს დადგენილებით საქართველო შეუერთდა

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) გაწვევრიანებისათვის აუცილებელ დოკუმენტებს, მათ შორის „1994 წლის გენერალურ შეთანხმებას ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ.“ საქართველოს პარლამენტის 20.04.00წ. №263-11 ს დადგენილებით რატიფიცირებულ იქნა 1994 წლის 15 აპრილის „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დამფუძნებელი მარაკემის შეთანხმება“, რის შედეგადაც, მსო-ის შესაბამისი ნოტის საფუძველზე, 2000 წლის 14 ივნისიდან საქართველო არის მსო-ის სრულუფლებიანი 137-ე წევრი. ამდენად, თბილისის საოლქო სასამართლოს მოსაზრება, რომ საქართველო არ არის მსო-ის წევრი ქვეყანა და „1994 წლის გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ“ არ არის რატიფიცირებული საქართველოს პარლამენტის მიერ, უსაფუძვლოა.

დიდი პალატა ასევე ვერ გაიზიარებს თბილისის საოლქო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ ვინაიდან გენერალური შეთანხმების სრული ტექსტი არ გამოქვეყნებულა, აღნიშნული დოკუმენტი სამართლებრივ შედეგებს ვერ გამოიწვევს და საბაჟო ურთიერთობათა მოწესრიგებისას არ გამოიყენება, როგორც სამართლის წყარო. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის საქართველოსათვის სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობა გამოხატა საქართველოს პარლამენტმა, ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, ოფიციალურად უნდა გამოქვეყნდეს“, მაგრამ ამავე კანონის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „საქართველო ასრულებს საერთაშორისო ხელშეკრულებას საქართველოსათვის მისი ძალაში შესვლის მომენტიდან“ და მისი გამოუქვეყნებლობა ვერ განდებთ იმის მიზეზი, რომ საერთაშორისო ხელშეკრულება არ იქნას აღიარებული სავალდებულოდ ქართული მხარის მიერ. საქართველოს კანონმდებლობით საერთაშორისო ხელშეკრულების ძალაში შესვლისათვის მისი გამოქვეყნება არ წარმოადგენს უშუალო წინაპირობას ან პირობას. რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების შეუსრულებლობა გამოუქვეყნებლობის მოტივით არ დაიშვება არც საერთაშორისო სამართლის ნორმებით.

ამდენად, დიდი პალატა განმარტავს, რომ „გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ“ (GATT – 1994), რომელიც შეიცავს GATT-1947 შეთანხმებას, აგრეთვე მისი წევრი ქვეყნების შემდგომ გადაწყვეტილებებსა და შეთანხმებებს, ექვემდებარება ამ შეთანხმების პირობების კეთილსინდისიერად შესრულებას საქართველოს მხრიდან, საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის ნორმების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, დიდი პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის – შპს „ა.-ის“ მოსაზრებას, რომ „ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების“ პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საბაჟო დეპარტამენტი ვალდებული იყო გაეგრძელებინა ისეთივე შეღავათიანი განბაჟების რეჟიმი შპს „ა.-ის“ მიერ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებიდან - თურქეთიდან და ბულგარეთიდან საქართველოში შემოტანილ სასურსათო ხორბალზე, როგორსაც იგი ავრცელებდა „თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ საქართველოს მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნებთან დადებული შეთანხმებების საფუძველზე შემოტანილ სასურსათო ხორბალზე, ვინაიდან ამ ნორმის თანახმად, „ნებისმიერი უპირატესობა, ხელშეწყობა, პრივილეგია ან იმუნიტეტი, რომელიც შეთანხმების მონაწილე რომელიმე მხარემ მიანიჭა რომელიმე სხვა ქვეყანაში შექმნილ ან რომელიმე სხვა ქვეყნისათვის განკუთვნილ ნებისმიერ საქონელს, დაუყოვნებლივ და უპირობოდ უნდა მიენიჭოს ყველა

დანარჩენი წევრი ქვეყნის ტერიტორიებზე წარმოშობილ ან შეთანხმების მონაწილე ყველა დანარჩენი მხარის ტერიტორიებისათვის განკუთვნილ მსგავს საქონელს“.

დიდი პალატა მიიჩნევს, რომ გენერალური შეთანხმების (GATT -ის) პირველი მუხლის პირველი პუნქტი შეიცავს დებულებას წევრ ქვეყნებს შორის „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესახებ“ (MFN), რომლის არსია: ერთი წევრი ქვეყნის მიერ რომელიმე სხვა ქვეყნის საქონელზე რაიმე შეღავათის დაწესების შემთხვევაში, აღნიშნული შეღავათის ყველა წევრი ქვეყნისათვის მინიჭების აუცილებლობა. ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები აზუსტებენ პირველი პუნქტის მოქმედების სფეროს და განსაზღვრავენ ზოგიერთ გამონაკლისს „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმიდან“ (MFN – დან). პირველი მუხლის პირველი პუნქტის მოქმედებიდან გამონაკლისთა მეტად მნიშვნელოვან ჯგუფს მიეკუთვნება GATT-ის 24-ე მუხლი „ტერიტორიული გამოყენება-საზღვრისპირა ვაჭრობა - საბაჟო კავშირები და თავისუფალი ვაჭრობის ზონები (სივრცეები)“. პირველი მუხლის დებულებები, რომლებიც ითვალისწინებს მონაწილე ქვეყნების მიერ საგარეო ვაჭრობაში ერთმანეთისათვის უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის მინიჭებას, ძირითადად გულისხმობს სატარიფო შეღავათებს საქონელთა გარკვეულ ჯგუფებზე. ამ წესებიდან გამონაკლისს წარმოადგენს რეგიონალური შეთანხმებები საბაჟო კავშირის, სასაზღვრო ვაჭრობისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რომლებიც 24-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად განიხილება. ამ მუხლის მე-8 პუნქტში მოცემულია „საბაჟო კავშირისა“ და „თავისუფალი ვაჭრობის ზონის (სივრცის)“ დეფინიცია, რომლის თანახმად, „თავისუფალ სავაჭრო ზონად (სივრცედ) მიიჩნევა ორი ან მეტი საბაჟო ტერიტორიის ჯგუფი, რომელშიც გადასახადები და ვაჭრობის მარეგულირებელი სხვა წესები არსებითად გაუქმებულია ამ ტერიტორიებს შორის იმ საქონლით ვაჭრობის სრული მოცულობის მიმართ, რომელიც წარმოშობილია ამ ტერიტორიაზე“. დიდი პალატა თვლის, რომ საქართველოს მიერ დსთ-ეს ქვეყნებთან დადებული შეთანხმებები „თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ სწორედ GATT-ის 24-ე მუხლით გათვალისწინებული „თავისუფალი ვაჭრობის ზონის (სივრცის)“ შესატყვისია. თუ GATT-ის პირველი მუხლის დებულებები ნებისმიერი წევრი ქვეყნის მიერ ცალკეული საქონლის მიმართ გამოყენებულ შეღავათებზე ლაპარაკობენ, GATT-ის 24-ე მუხლის დებულებებში საუბარია გადასახადებისა და ვაჭრობის მარეგულირებელი წესებისაგან განთავისუფლებაზე, რაც თავისუფალი ვაჭრობის აუცილებელი კრიტერიუმი. სწორედ ამიტომ, „თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ შეთანხმებების საფუძველზე განხორციელებული ვაჭრობა არ განიხილება, როგორც კონკრეტული შეღავათი, იგი გამოყვანილია GATT-ის პირველი მუხლის მოქმედებიდან, მასზე არ ვრცელდება „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის“ (MFN-ის) პრინციპები და რეგულირდება GATT-ის 24-ე მუხლით. თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმებისადმი მსო-ის მიდგომა ნათლად ჩანს თავისუფალ ვაჭრობაზე ევროკავშირის ქვეყნების შეთანხმების მაგალითზე. აღნიშნული ვაჭრობის თავისუფალი რეჟიმი არ ვრცელდება მსო-ის სხვა წევრ ქვეყნებზე.

მარაკემის შეთანხმებით დაფუძნებულ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების ოქმს თან ერთვის გაწევრიანების მუშა ჯგუფის ანგარიში (WT/ACC/GEO/32), რომლის 174-ე და 179-ე პარაგრაფებში მოყვანილია ინფორმაცია თავისუფალი ვაჭრობის იმ შეთანხმებათა შესახებ, რომელშიც მონაწილეობს საქართველო. რაიმე მოთხოვნები ამ შეთანხმებათა გადასინჯვის ან ამ შეთანხმებებით გათვალისწინებული შეღავათების გავრცელებაზე მსო-ის წევრ ქვეყნების მიმართ, არც ერთ წევრ ქვეყანას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში არ წამოუყენებია. ამგვარი მოთხოვნები, მუშა

ჯგუფის ანგარიშის 179-ე პარაგრაფის შესაბამისად, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ საქართველოს მონაწილეობით ყველა მოქმედი შეთანხმების სრული ტექსტების და მონაცემების მსო-ის სამდივნოში წარდგენის შემდეგაც არ წამოყენებულა.

დიდი პალატა კასატორის – შპს „ა.-ის“ ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სასურსათო ხორბალზე საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული 12%-იანი საბაჟო გადასახადი არ არღვევს GATT-ის პირველი მუხლის შესაბამისად MFN-ის პირობით დაწესებულ პრეფერენციას, რის გამოც დიდი პალატა მიიჩნევს, რომ შპს „ა.-ის“ მოთხოვნას, მის მიერ თურქეთიდან და ბულგარეთიდან იმპორტირებულ სასურსათო ხორბალზე გადახდილი 507 437,22 ლარის საბაჟო დეპარტამენტისაგან დაბრუნების თაობაზე, უარი უნდა ეთქვას უსაფუძვლობის გამო.

კასატორის – შპს „ა.-ის“ განმარტებით, ვინაიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტირებული 3000 ტონა სასურსათო ხორბლის წარმოშობის ქვეყანა – ყაზახეთის რესპუბლიკა და ამ პროდუქციის იმპორტი – თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელდა, „საქართველოს მთავრობასა და ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ 1997 წლის 11 ნოემბრის საერთაშორისო შეთანხმების პირველი და მეორე მუხლების შესაბამისად, მასზე შეღავათიანი განბაჟების რეჟიმი უნდა გავრცელდეს. კასატორი მიიჩნევს, რომ თბილისის საოლქო სასამართლომ არასწორად განმარტა აღნიშნული საერთაშორისო შეთანხმება და არასწორად შეაფასა მტკიცებულებები.

დიდი პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას და თვლის, რომ საოლქო სასამართლომ საპროცესო ნორმების დაცვით შეაფასა მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და სწორად განმარტა საერთაშორისო შეთანხმება. საოლქო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „ა.-ის“ მოთხოვნა არ შეესაბამებოდა „საქართველოს მთავრობასა და ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ შეთანხმების პირველი და მეორე მუხლების დისპოზიციებში დათქმულ პირობებს, რომლის თანახმადაც „შეთანხმების ხელმოწერილი მხარეები განავითარებენ და გააფართოებენ სამეურნეო საქმიანობის სუბიექტებს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს მათი საკუთრების ფორმების დამოუკიდებლად, პირდაპირი სამეურნეო კავშირების საფუძველზე“ . . . (პირველი მუხლი). „მხარეები არ იყენებენ ეკვივალენტური მოქმედების მქონე საბაჟო გადასახადებს, ბეგარასა და ასაკრებლებს, საბაჟო გაფორმებასთან დაკავშირებული ასაკრებლების გამოკლებით, აგრეთვე რაოდენობრივ შეზღუდვებს საქონლის ექსპორტსა და/ან იმპორტზე, რომელიც წარმოშობილია ერთ-ერთი მხარის საბაჟო ტერიტორიიდან და განკუთვნილია მეორე მხარის საბაჟო ტერიტორიისათვის“. . . საოლქო სასამართლოს მოსაზრებით, შპს „ა.“ და შვეიცარული კომპანია სს „გ. ი.“ სავაჭრო-ეკონომიკურ საქმიანობას, როგორც ყაზახეთისა და საქართველოს სახელმწიფოთა სამეურნეო სუბიექტები, არ აწარმოებდნენ და ყაზახეთის საბაჟო ტერიტორიის გადაკვეთისას ტვირთი არ ყოფილა განკუთვნილი საქართველოსათვის.

ამასთან, დიდი პალატა, „საქართველოს მთავრობასა და ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ 1997 წლის 11 ნოემბრის საერთაშორისო შეთანხმების განმარტებისას, ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო შეთანხმების შესავალ ნაწილზე და მე-2 მუხლის მე-3 პუნქტზე. შეთანხმების შესავალში ნათქვამია, რომ შეთანხმების დადებისას მხარეები „ადასტურებენ საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკის მხარდაჭერას ვაჭრობაზე და ტარიფებზე გენერალური შეთანხმების

(GATT) და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) პრინციპებისადმი“. „ამ შეთანხმების მიზნებისათვის და მისი მოქმედების პერიოდის განმავლობაში მხარეების სახელმწიფოთა საბაჟო ტერიტორიებიდან წარმოშობილ საქონელში იგულისხმება საქონელი, რომელიც დადგენილია წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის წესებით, საერთაშორისო ნორმების შესაბამისად“ (მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი). საერთაშორისო ნორმებით იმ სავაჭრო რეჟიმების მიმართ, რომლებიც გამოყვანილია GATT-ის პირველი მუხლის მოქმედებიდან და რეგულირდება GATT-ის 24-ე მუხლით („თავისუფალი ვაჭრობა“, „საბაჟო კავშირი“ და სხვ.), გამოიყენება საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის განსაკუთრებული წესები. „წარმოშობის წესების შესახებ“ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმების დანართი მე-2 „ერთობლივი დეკლარაცია პრეფერენციალურ (შელავათიან) წარმოშობის წესებთან დაკავშირებით“, არეგულირებს წარმოშობის წესების გამოყენებას თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის პირობებში. აღნიშნული დეკლარაციით აღიარებულია „წარმოშობის საერთო წესებიდან“ განსხვავებული „პრეფერენციალური წესების“ გამოყენების შესაძლებლობა რეგიონალურ შეთანხმებებში მონაწილე ქვეყნების მიერ. 2000 წლის 30 ნოემბერს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) მთავრობათა მეთაურების მიერ ხელმოწერილი გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის შესახებ“ წესები „პრეფერენციალური წარმოშობის წესების“ შესატყვისია. აღნიშნული გადაწყვეტილება, ამავე გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის თანახმად, საქართველოსათვის ძალაში შევიდა მისი ხელმოწერისთანავე – 2000 წლის 30 ნოემბერს. საქართველოს მთავრობის წარმომადგენელთან ერთად გადაწყვეტილებას ხელს აწერს ყაზახეთის მთავრობის წარმომადგენელიც. აღნიშნული წესები პასუხობენ წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის საერთაშორისო ნორმებს და გამოყენებულ უნდა იქნეს „საქართველოს მთავრობასა და ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ საერთაშორისო შეთანხმების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტში მინიშნებულ სამართლებრივ ბაზად, მითუმეტეს, რომ შპს „ა.-ის“ მიერ 3000 ტონა ყაზახეთის სასურსათო ხორბლის საქართველოში იმპორტი განხორციელდა 2001 წლის მარტის თვეში, როცა დსთ-ს მთავრობათა მეთაურების აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში იყო და მოქმედებდა. ამ გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის წესების“ მე-9 პუნქტში მოცემულია პირობები, თუ როდის განიხილება საქონელი თავისუფალი ვაჭრობის მიზნებისათვის მოცემულ ქვეყანაში წარმოშობილად, კერძოდ „ა“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს, რომ „საქონელი ექსპორტირებულ უნდა იქნეს შეთანხმების მონაწილე ერთ-ერთი სახელმწიფოს რეზიდენტსა და შეთანხმების მონაწილე მეორე სახელმწიფოს რეზიდენტს შორის დადებული ხელშეკრულების (კონტრაქტის) საფუძველზე და მისი შემოტანა უნდა განხორციელდეს შეთანხმების მონაწილე ერთ-ერთი სახელმწიფოს საბაჟო ტერიტორიიდან შეთანხმების მონაწილე მეორე სახელმწიფოს საბაჟო ტერიტორიაზე“. ამასთან, საქონელმა არ უნდა დატოვოს შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოთა ტერიტორია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოთა გეოგრაფიული მდებარეობის გამო შეუძლებელია საქონლის ასეთი ტრანსპორტირება ან არსებობს შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოების შეთანხმება.

საქმის მასალებში არ მოიპოვება არანაირი მტკიცებულება, რაც უდავოდ დაადასტურებდა, რომ შვეიცარული კომპანია „გ. ი. ა.გ.“ ყაზახეთის რესპუბლიკის რეზიდენტ იურიდიულ პირს წარმოადგენს. ამასთან, დიდი პალატა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად,

სავალდებულოდ მიიჩნევა თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რადგან საკასაციო საჩივრის ავტორის – შპს „ა.-ის“ მიერ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. კერძოდ, დიდი პალატა სავალდებულოდ მიიჩნევა თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტს, რომ შპს „ა.-ის“ მიერ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი 3000 ტონა ყაზახეთის სასურსათო ხორბალი თავდაპირველად განკუთვნილი იყო თურქეთისათვის. ამდენად, დიდი პალატა იზიარებს თბილისის საოლქო სასამართლოს მოსაზრებას, რომ შპს „ა.-ის“ მოთხოვნა, იმპორტირებულ 3000 ტონა ყაზახეთის სასურსათო ხორბალზე შეღავათიანი განბაჟების რეჟიმის გავრცელების თაობაზე, უსაფუძვლოა და არ შეესაბამება საქართველოს მთავრობასა და ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების პირველი და მეორე მუხლების დისპოზიციებში დათქმულ პირობებს. შესაბამისად, უსაფუძვლოა მისი მოთხოვნა საბაჟო დეპარტამენტისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის – 39 847,34 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე.

ამასთან, დიდი პალატა მხარეთა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ „საქართველოს მთავრობასა და ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ საერთაშორისო შეთანხმების თაობაზე დიდი პალატის მოცემულ განმარტებას ვერ მიეცემა უკუქცევითი ძალა და ვერ გავრცელდება საბაჟო დეპარტამენტის მიერ ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე შეღავათებით განბაჟებულ და თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებულ შპს „ა.-ის“ საქონელზე, რადგან აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვნად შეზღუდავს მეწარმე სუბიექტების კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს და გამოიწვევს გაუთვალისწინებელ შედეგებს სახელმწიფოს მიმართ.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

დიდმა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ა :

1. შპს „ა.-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.
3. შპს „ა.-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.